დ ა ს კ ვ ნ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე, N28.09.24.462 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სატატუსის დამატებითი კატეგორიის სტატუსით ცვლილებისა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტთან, 121-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 108-ე მუხლთან, რომელთა თანახმადაც საკრებულო უფლებამოსილია იმსჯელოს ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სატატუსის დამატებითი კატეგორიის სტატუსით ცვლილებასა და ამ ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: ზექა შენგელია